ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტი
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2017 წლის საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მოქმედებს უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 25-ე და 31-ე მუხლების, უნივერსიტეტის წესდების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულების შესაბამისად (იხ.:www.tsu.ge/qa/statute.htm), ENQA-ს (**European Network of Quality Assuarance** – ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ქსელის) მიერ შემუშავებული დოკუმენტის "ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პრინციპები ევროპის უმაღლესი განათლების სივცრეში" (იხ.:www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf) მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2017 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

I. აკრედიტაციის პროცესებში ჩართულობა

სააკრედიტაციოდ მომზადებული იქნა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა'' ინგლისურენოვანი პაკეტი და ქართულენოვანი თარგმანის პაკეტი, მათ შორის თვითშეფასება, პროგრამის აღწერილობები, სილაბუსები, რუქები, პერსონალის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის ცხრილები და ა.შ.

II. აკადემიური საბჭოსთვის დადგენილებების პროექტების მომზადება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში

2017-2018 სასწავლო წელს გამოცხადებულ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოსაცხადებელი სტუდენტების რაოდენობების და კომპეტენციების ზღვარის ანკეტა-კითხვარის მომზადებაში მონაწილეობა;

2017-2018 სასწავლო წელს გამოცხადებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოსაცხადებელი სტუდენტების რაოდენობების და კომპეტენციების ზღვარის ანკეტა-კითხვარის მომზადებაში მონაწილეობა

III. ხარისხის უზრუნველყოფასთან, კურიკულუმების სრულყოფასთან, უნივერსიტეტის განვითარებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მომზადება

მედიცინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგის მომზადება;
საგანმანათლებლო პროგრამებში (საბაკალავრო პროგრამა ოკუპაციური თერაპია,სადოქტორო პროგრამის „ტრანსლაციური ბიო-მედიცინა (მიმართულება - ჰეპატოლოგია)“) განხორციელებული ცვლილებების აღწერა პროგრამების ხელმძღვანელებთან ერთად;

ავტორიზაციის თვითშეფასების წლიური ანგარიშისთვის ინფორმაციის მომზადებაში მონაწილეობა;

<u>IV. საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) შიდა საუნივერსიტეტო მონიტორინგი</u>

ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული ცვლილებების გათვალისწინებით პროგრამის აღწერების მომზადება ვებ-გვერდზე განსათავსებლად;
სტუდენტთა გამოკითხვის მოსამზადებელ პროცესებში მონაწილეობის მიღება;
ჯანდაცვის პერსონალის დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების კურიკულუმების გადახედვა და მათში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ასახვის საკითხების განხილვა განათლების სამინისტროდან შმოსული მოთხოვნის შესაბამისად;
ინფორმაციის მომზადება მედიცინის და სტომატოლოგიის პროგრამებზე ევროკომისიის ფარგლებში მოქმედი **U-Multirank** რანჟირების პროექტისთვის.

<u>V. მივლინებები საზღვარგარეთ, მონაწილეობა ბოლონიის პროცესთან, ხარისხის უზრუნველყოფასთან, აკრედიტაციასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ტრენინგი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო; **6.03.2018-13.03.2018**
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი განათლების რე ფორმის
ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებაში -
„უმაღლესიგანათლების ხარისხის განვითარება -ხედვები და გეგმები“ მონაწილეობა; **01.02.2018;**
საუტჰემპტონის უნივერსიტეტის პროფესორ ემერიტუსის კრის სტეფენსენის მირ ჩატარებულ ვორკშოპში ,,ინტერგრირებული სწავლება'' და ,,**OSCE**'' მონაწილეობა, **4.10.2018-5.10.2018;**
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროფესორ პანდელის იპსილანდისის მიერ ჩატარებული ტრენინგებში მონაწილეობა; **26.112018-2.11.2018;**

თსუ ტრენინგში მონაწილეობა: პროგრამის მიზნები, შედეგები და მათი შეფასება; თსუ, 22.10.2018
WFME-ს პრეზიდენტის დევიდ გორდონის მოწვევა თსუ-ში და კონფერენციის ,,უმაღლესი სამედიცინო განათლება უნივერსიტეტში - დაარსების 100 წლის ისტორია და გლობალური გამოწვევები'' ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება.
ORPHEUS 2018-კონფერენციაში მონაწილეობის მიღება და მოხსენების PHD STUDENTS' PERCEPTION ON SUPERVISION PRACTICE AT TSU FACULTY OF MEDICINE IN GEORGIA
წარდგენა, 24.05.2018-26.05.2018, რეიკიავიკი, ისლანდია.

VI. საქართველოსა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება

მონაწილეობა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ეროვნული კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროექტის ფარგლებში შექმნილი საზოგადოებრივი ჯანდაცვის დარგობრივი სტანდარტების შექმნაზე მომუშავე ჯგუფის (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი-ნინო ჩიხლაძე) მიერ ინიცირებული ღონისძიებებში, დისკუსიებსა და შეხვედრებში.

VII. სტუდენტთა მიერ საზღვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსებისა და კრედიტების აღიარება

- სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სტუდენტების მიერ საზგვარგარეთ მოსმენილი სასწავლო კურსების აღიარების პროცედურაში მონაწილეობა.

VIII. სტუდენტთა მობილობის ხელშეწყობა. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გადმოსული სტუდენტების კრედიტების აღიარება

- მობილობის პროცესში გადმოსული სტუდენტების თსუ-სა და სხვა უსდ საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოპოვებული კრედიტების აღიარების პროცედურაში მონაწილეობა.

IX. პასუხი კორესპონდენციებზე

- მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსულ კორესპონდეციაზე პასუხი.